

2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

2019 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს შვიდ ამოცანას. სამოქმედო გეგმის ფორმის შესაბამისად, თითოეული ამოცანა ჩაშლილია აქტივობებად, თვეების მიხედვით არის გაწერილი და ასევე მოიცავს ინფორმაციას საჭირო რესურსებისა და ინდიკატორების, შემსრულებელი, პასუხისმგებელი და საქმიანობაში ჩართული პირების შესახებ. სამოქმედო გეგმის შესრულება წინასწარ დაგეგმილ ვადებში დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე. სამოქმედო გეგმის ანგარიშის სტრუქტურა განისაზღვრა ანალიზის მნიშვნელოვნების გათვალისწინებით და იმისათვის რომ დადგინდეს, რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული ამოცანა, რა იყო ხელისშემშლელი მიზეზი, და რამ გამოიწვია ამოცანის ზედმიწევნით შესრულება ან / და შეუსრულებლობა, ასევე მნიშვნელოვანია, რა იყო ისეთი, რაც არ იქნა წინასწარ გაწერილი სამოქმედო გეგმაში დაფიქსირებული და მისი შესრულება გახდა საჭირო. გთავაზობთ თითოეული ამოცანის შესრულების მაჩვენებელს პროცენტებში და იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა შეუსრულებლობა:

	ამოცანა	შესრულება %-ში	შეუსრულებელი ამოცანის შერულების ახალი ვადები	შეუსრულებლობის მიზეზი
1	საგანამანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვება(თბილისში	100%	-	-
2	პროფესიულ სტუდენტთა საგაზაფხულო მიღება(თბილისში)სამი პროგრამიდან მივიღეთ მხოლოდ ერთ პროგრამაზე;	40%	-	პროფესიული სტუდენტების მიღება განხორციელდა მხოლოდ დუალური პროგრამის ფარგლებში
3	სასწავლო პროცესის განხორციელება თბილისის მისამართზე	100%	-	-
4	თეგეტა აკადემიის (ბათუმის მისამართზე) საგანამანათლებლო მიზნებისთვის მატერიალური, პროგრამული, ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ფორმირება;	100 %	-	-
5	თეგეტა აკადემიის ვებგვერდის განახლება, ინფორმაციის დამატება	100%	-	-
6	მასწავლებელთა გადამზადება /ტრენინგი	100%	-	-

7	მოდულური/დუალური პროგრამის ადაპტირება და დამტკიცება (ბათუმის მონაცემებზე დაყრდნობით)	100%	-	-
---	---	------	---	---

2019 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვა შედგა 20 დეკემბერს შპს თეგეტა აკადემიის ადმინისტრაციის წევრების მონაწილეობით, ყურადღება იქნა გამახვილებული შესრულების და შეუსრულებლობის მიზეზებზე, საქმიანობის გუნდურად მიდგომის დადებით მხარეზე და ასევე ადმინისტრაციული რესურსის, პროფესიული მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო მასალების არსებობაზე, როგორც თეგეტა აკადემიის მხრივ ძლიერ მხარეებზე.

2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება მოხდა დაახლოებით 95 %-ით, რაც უკავშირდება თეგეტა აკადემიის მიერ დაგეგმილი და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას შიდა და ასევე გარე ფაქტორების გათვალისწინებით;

ანგარიშის წარდგენის ეტაპზე, აქცენტები იქნა გაკეთებული 2020 წლის სამომავლო გეგმებზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც ახალი სტანდარტების შესაბამისად უნდა გაიწეროს ახალ, 2020 წლის გეგმაში და ამავე დროს განხილული იქნა საკითხი სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანისა და მისი შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმად ფორმირების საკითხი. ახალი, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ფორმირებისას მოხდება ძირითადი მიმართულებების გათვალისწინება და საჭიროების შემთხვევაში არსებული გეგმის, ამოცანების გადახედვა და კორექტირება;